სს „ლიბერთი კონსუმერ“-ის (ს/კ: 205154438)
ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის
გადაწყვეტილება N190610/01

ორი ათას ცხრამეტი წლის 10 ივნისს სს „ლიბერთი კონსუმერ“-ის (ს/კ: 205154438) (შემდეგში „საზოგადოება“), აქციონერის სს „საქართველოს კაპიტალი“-ს (ს/კ: 404549690) (შემდგომში – „აქციონერი“) მიერ, რომელიც წარმოდგენილია მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გიორგი ალფაიძის სახით (რწმუნებულება, გაცემული 2019 წლის 19 აპრილს სს „საქართველოს კაპიტალი“-ს გენერალური დირექტორის ი. გილაურის მიერ, დამოწმებული ნოტარიუს ი. შარვაძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის #190433638), მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები ქვემოთ მითითებულ საკითხებზე.

ვინაიდან „აქციონერი“ ფლობს სს „ლიბერთი კონსუმერ“-ის ჩვეულებრივი აქციების და შესაბამისად, ხმების 75%-ზე მეტს, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54.1[1] მუხლისა და სს „ლიბერთი კონსუმერ“-ის წესდების თანახმად, წინამდებარე გადაწყვეტილება აქციონერთა საერთო კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

დღის წესრიგი:

1. სს „ლიბერთი კონსუმერ“-ისთვის (ს/კ: 205154438) მისი 100%-იანი შვილობილი საწარმოს - სს „პრაიმ ფიტნესი“-ს (ს/კ: 205167255) შერწყმის (მიერთების) შესახებ;
2. ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ.

„აქციონერი“-ს მიერ მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

1. განხორციელდეს სს „ლიბერთი კონსუმერ“-თან (ს/კ: 205154438) მისი 100%-იანი შვილობილი საწარმოს სს „პრაიმ ფიტნესი“-ს (ს/კ: 205167255) მიერთება (შერწყმა). მიერთება ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14[4] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. მიერთების შედეგად სს „ლიბერთი კონსუმერ“ (ს/კ: 205154438) გახდება სს „პრაიმ ფიტნესი“-ს (ს/კ: 205167255)-ის უფლებამონაცვლე (სამართალმემკვიდრე).
2. დამტკიცდეს სს „ლიბერთი კონსუმერ“- ისთვის (ს/კ: 205154438) მისი 100%-იანი შვილობილი საწარმოს - სს „პრაიმ ფიტნესი“-ს (ს/კ: 205167255) მიერთება (შერწყმა) შემდეგი პირობებით:
   - 2.1. სს „პრაიმ ფიტნესი“ (ს/კ: 205167255) შეერწყმება (მიუერთდება) მის 100%-იან „აქციონერს“ - სს „ლიბერთი კონსუმერ“-ს (ს/კ: 205154438);
   - 2.2. შერწყმის (მიერთების) შედეგად სს „პრაიმ ფიტნესი“ (ს/კ: 205167255) შეწყვეტს არსებობას როგორც იურიდიული პირი, ხოლო სს „ლიბერთი კონსუმერ“ (ს/კ: 205154438) იქნება სს „პრაიმ ფიტნესი“-ს უფლებამონაცვლე (სამართალმემკვიდრე);
   - 2.3. შერწყმის (მიერთების) შედეგად სს „პრაიმ ფიტნესი“-ს აქტივები და ვალდებულებები გადავა (აისახება) სს „ლიბერთი კონსუმერ“-ის ბალანსზე;
   - 2.4. სს „ლიბერთი კონსუმერ“-ის განცხადებული (ნებადართული) კაპიტალი დარჩება უცვლელი;
   - 2.5. შერწყმის (მიერთების) შედეგად არ შეიცვლება სს „ლიბერთი კონსუმერ“-ის აქციონერთა არსებული სტრუქტურა და წილობრივი მონაწილეობა;
   - 2.6. შერწყმის (მიერთების) შემდეგ სს „ლიბერთი კონსუმერ“-ის მართვის ორგანოთა სტრუქტურა, მათი სტატუსი და ფუნქციები ასევე დარჩება უცვლელი;
   - 2.7. შერწყმის (მიერთების) შემდეგ სს „პრაიმ ფიტნესი“-ს თანამშრომელთა უფლებრივი მდგომარეობა, ასევე მართვის ორგანოების წევრთა და სხვა აღმასრულებელ თანამდებობაზე დასაქმებულ პირთა შემდგომი დასაქმების პირობები და ვადები განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სს „ლიბერთი კონსუმერ“-ის მმართველობითი ორგანოების მიერ;
   - 2.8. შერწყმის (მიერთების) დასრულება მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით შერწყმის რეგისტრაციის საფუძველზე.
3. დაევალოს სს „ლიბერთი კონსუმერ“-ს გენერალურ დირექტორს ხელი მოაწეროს შერწყმის (მიერთების) საკითხთან დაკავშირებულ ნებისმიერ და ყველა დოკუმენტს. წინამდებარე გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ცვლილებების (რეორგანიზაციის) კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის მიზნებისთვის ნებისმიერი და ყველა მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება, მათ შორის დოკუმენტაციის ხელმოწერა და მათი სარეგისტრაციოდ წარდგენის უფლებამოსილება მიენიჭოს მარიამ თითბერიძეს (პ/ნ: 01017042743).

_____

გიორგი ალფაიძე

სს „საქართველოს კაპიტალის“

გენერალური დირექტორის მოადგილე

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2019.06.18 10:18:09 +04'00'